ინდივიდუალური მეტამორფოზა, როგორც ლიტერატურული ხერხი ფრანც კაფკას „მეტამორფოზისა“ და ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ მიხედვით

ინგა შამილიშვილი, ნინო ნაკაშიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
e-mail: Inga_shamilishvili@bsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.48

მეტამორფოზა (ბერძნ. μεταμόρφωσις), როგორც ტრანსფორმაციის უნივერსალური სახე, ფორმის, მდგომარეობის ან არსებობის ფუნდამენტური ცვლილებაა. კლასიკურ ფილოსოფიაში მეტამორფოზის იდეა უკავშირდება ყოფიერის ცვლილების ჭვრეტას. პლატონისთვის ტრანსფორმაცია განიხილება როგორც სულის ცვალებადობა იდეებისადმი მისწრაფების პროცესში. იგი „ფედონში“ აღწერს, როგორ მიილტვის სული იდეალურ სამყაროში არსებული ჭეშმარიტი სახეებისკენ, ხოლო გარდასახვა ამ გზაზე სულის მიერ განცდილ ტრანსცენდენტულ მოძრაობას აღნიშნავს [Plato, *1997*] არისტოტელეს ფილოსოფიაში კი ტრანსფორმაცია უკვე ontos-ის, ანუ ყოფიერის ბუნებრივ პროცესად მოიაზრება. იგი „მეტაფიზიკაში“ ამტკიცებს, რომ ყველა მატერიალური საგანი შეიცავს „პოტენციალს“, რომელიც აქტუალურ ფორმად გარდაისახება. ამგვარად, ტრანსფორმაცია ბუნებრივი და გარდაუვალი ნაწილია სუბსტანციური ცვლილებისა, რომლის დროსაც ობიექტის არსებითი თვისებები გარდაიქმნება ფორმისა და მიზნის მიხედვით [Aristotle, 1984].

ამ ორი მიდგომით, მეტამორფოზა შეიძლება გავიგოთ როგორც ყოფიერის დინამიკური გარდაქმნა, პლატონის შემთხვევაში - სულის იმპულსური მისწრაფება სრულყოფილებასკენ, ხოლო არისტოტელეს მიხედვით - ბუნებრივი პროცესით ჩამოყალიბებული ფორმის ცვლილება, რაც სამყაროს შინაგან ლოგიკას ემორჩილება.

ლიტერატურათმცოდნეობაში მეტამორფოზა გვევლინება როგორც ტროპი და ნარატიული სტრატეგია, რომელიც იდენტობისა და სტრუქტურის დეკონსტრუქციას ემსახურება.

მეტამორფოზა, როგორც ლიტერატურული ფენომენი, წარმოადგენს უნიკალურ საშუალებას იმ ფსიქიკური მდგომარეობების კვლევისა, რომლებიც ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩება. მხატვრულ ლიტერატურაში მეტამორფოზის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ოვიდიუსის ეპიკური პოემა "Metamorphoses". თხუთმეტი წიგნისგან შემდგარი ეს ეპიკური პოემა მოიცავს 250-ზე მეტ ტრანსფორმაციის ამბავს, რომლებიც წარმოადგენენ არა მხოლოდ მითოლოგიურ სიუჟეტებს, არამედ ღმერთებისა და

მოკვდავთა, სურვილისა და ძალაუფლების, თანხმობისა და წინააღმდეგობის რთული დინამიკის კვლევას.

ლიტერატურაში მეტამორფოზის ტროპი ინდივიდუალური და კოლექტიური ტრანსფორმაციით ვლინდება. ჩვენი ინტერესის საგანს ინდივიდუალური მეტამორ-ფოზა წარმოადგენს, რომელიც ხშირად უკავშირდება ეგზისტენციალურ, ეთიკურ ან ფსიქოლოგიურ კრიზისს, რომელიც არღვევს პერსონაჟის სტაბილურ იდენტობას. ფრანც კაფკას გრეგორ ზამზა ამ თვალსაზრისით კლასიკური მაგალითია. მისი მწერად გარდაქმნა მხოლოდ ფიზიკური დეფორმაცია არ არის, ესაა სოციალური როლის - შვილის, მუშის, მოქალაქის - პერფორმატიული კრახი. ჯუდით ბატლერის თეორიის თანახმად, იდენტობა იქმნება განმეორებითი ქმედებების შედეგად, რომლებიც კულტურულად ნორმალიზდება. ზამზას გარდაქმნით ეს ნორმები ირღვევა, და მისი სხეული, როგორც სოციალური ნიშნის მატარებელი, ვეღარ ფუნქციონირებს, რის შედეგადაც იდენტობა იშლება [Butler, 1993].

სრულიად განსხვავებულ სიბრტყეზე ვითარდება მეტამორფოზა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „იგი“. ინდივიდუალური მეტამორფოზის კონცეფციის თანახმად სუბიექტის იდენტობა სტატიკური მოცემულობა არ არის, არამედ ისტორიულად და კულტურულად დეტერმინირებული პროცესია, რომელიც ყალიბდება კონკრეტულ დისკურსებში და მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას. ტრანსფორმაცია იგის შემთხვევაში არ არის ფიზიკური, არამედ გონებრივი და ცნობიერების სფეროში მიმდინარე გარდასახვაა, რომელიც ხშირად იწყება მორალური, ეთიკური ან სოციალური წესრიგის რღვევით.

ფრანც კაფკას მოთხრობა „მეტამორფოზა“ თანამედროვე ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი ტრანსფორმაციის აღწერით იწყება: “ერთ დილას, არეული სიზმრის შემდეგ გაღვიძებულმა გრეგორი ზამზამ აღმოაჩინა, რომ საზარელ მწერად გადაქცეულიყო. იწვა თავის საწოლში, ჯავშანივით მაგარ ზურგზე და თავის წამოწევისას ხედავდა ყავისფერ, თაღოვან, რკალებად დაქერცლილ მუცელს, რომლიდანაც საბანი იატაკისკენ მისრიალებდა. უამრავი, ტანის ზომასთან შედარებით უსაშველოდ წვრილი ფეხი უმწეოდ წრიალებდა მის თვალწინ” [კაფკა, 2025:3]. ზამზას ტრანსფორმაცია ყოველგვარი მიზეზობრივი ახსნის გარეშე ასახავს აბსურდის, სხეულზე კონტროლის დაკარგვისა და იდენტობის დაშლის პროცესს.

გრეგორი ეტაპობრივად კარგავს არა მხოლოდ ფიზიკურ შესაძლებლობებს, არამედ იმ სოციალურ როლებს, შვილის, მუშის, მარჩენალის, რომლებიც განსაზღვრავდა მის იდენტობას. ჯუდით ბატლერის თეორიის მიხედვით, იდენტობა არ არის წინასწარ მოცემული, იგი ყალიბდება განმეორებითი ქმედებების მეშვეობით [Butler, 1993]. როდესაც ეს ქმედებები ხდება შეუსრულებელი, როგორც გრეგორის შემთხვევაში იდენტობა იშლება. სწორედ ამას განიხილავს ბატლერი, როგორც პერფორმატიული კრახს.

ლიტერატურული ტექსტი ადასტურებს, რომ მეტამორფოზა არ არის ფანტასტიკური მოვლენა, არამედ იგი აგებულია ეგზისტენციური დაშლის, სოციალური გაუცხოებისა და სხეულის ალინეაციის საფუძველზე. გრეგორის სხეული გარდაიქმნება, თუმცა მისი შინაგანი თვითშეგნება და განცდები რჩება ადამიანური. მისი ტრანსფორმაცია აქცენტს აკეთებს არა ფიზიკურ ჰიბრიდულობაზე, არამედ სუბიექტურობის კრახზე.

ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურა წარმოადგენს მკითხველისთვის ეგზისტენციური და ფსიქოლოგიური დაშლის დრამატულ ფორმას, რომლითაც ის სვამს ფუნდამენტურ კითხვებს: რა ხდება, როდესაც იდენტობა აღარ ემთხვევა სხეულს? როგორ

რეაგირებს საზოგადოება სხვის ტრანსფორმაციაზე? და როგორ „ეკარგება“ სიტყვა და ურთიერთობა ტრანსფორმირებულ სუბიექტს?

კაფკასთან მეტამორფოზა არ წარმოადგენს მაგიურ ტრანსფორმაციას, არამედ იძლევა ეგზისტენციური დაშლის, სხეულის ალინეაციის და სოციალური გაუცხოების ნარატივს. როგორც ჯუდით ბატლერი აღნიშნავს, სხეული არ არის ნეიტრალური მატერია, არამედ დისკურსით და ძალაუფლებით განპირობებული სივრცე. გრეგორის მწერად გადაქცევა აჩენს სწორედ ამ დისკურსულ ჩარჩოს, სადაც მისი სხეული, როგორც „სხვა“, ოჯახის და საზოგადოების მიერ უარყოფის მიზეზად იქცევა.

გრეგორ ზამზა მეტამორფოზის შემდეგ ვეღარ ასრულებს იმ ქმედებებს, რაც ადრე განსაზღვრავდა მის იდენტობას (მუშა, შვილი, მარჩენალი). შედეგად, ის კარგავს ადამიანურ სუბიექტობას სწორედ ეს არის ბატლერისეული პერფორმატიული კრახი.

კაფკას ნარატორული სტრატეგია აქცენტს აკეთებს შიგნიდან გარეთ მიმართულ ხედვაზე (internal focalization), მკითხველი გრეგორის ფსიქიკურ სამყაროს თვალს ადევნებს, მაშინ როცა გარე სამყარო თანდათან უარყოფს მის ცვლილებას. გრეგორი საკუთარ თავში რჩება „ადამიანი“, მაგრამ სხეული და ფუნქცია აღარ ემთხვევა ამ იდენტობას. „თავიდან მან საწოლიდან სხეულის ქვედა ნაწილის წამოწევა გადაწყვიტა. ეს საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა (ეს ნაწილი ჯერ არ დაენახა და, მაშასადამე, წარმოდგენა არც ჰქონდა მასზე). საქმე ნელა მიიწევდა წინ. გამწარებულმა გრეგორმა, ბოლოს და ბოლოს, მთელი ძალა მოიკრიბა და ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე წინ წამოიწია, მაგრამ ორიენტაცია დაკარგული საწოლის ბოლოს მიენარცხა და ისეთი გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო, რომ დარწმუნდა - სხეულის ქვედა ნაწილი ყველაზე მგრძნობიარე ჰქონდა“ [კაფკა, 2025:3].

მიშელ ფუკოს თეორიის მიხედვით, თანამედროვე სოციალური სისტემები ინდივიდის სხეულს დისციპლინის მეშვეობით ამუშავებენ: ისინი წარმოადგენენ მექანიზმებს, რომლებიც აყალიბებენ ქცევის ნორმებს, ამოქმედებენ ზედამხედველობას და ამგვარად აწესრიგებენ სუბიექტს საზოგადოების ფუნქციონირებისთვის [Foucault, 1977]. სხეული, ამ კონცეფციაში, პოლიტიკური მინდობილობის ობიექტია - მისი მოძრაობა, პოზიცია, ძალა და მორჩილება ხდება საზოგადოების მიერ განსაზღვრული და რეგულირებული.

გრეგორი ზამზა მოთხრობაში სწორედ ამ დისციპლინური წესრიგის „დანაკარგად“ იკვეთება. ტრანსფორმაციის შემდეგ ის კარგავს ყველა იმ ძირითად ნიშნულს, რომლებიც დისციპლინარულ ქსოვილში მის ადგილს განსაზღვრავდა. ის ვეღარ მუშაობს, ვერ საუბრობს, ვერ ურთიერთობს, ვეღარ ემორჩილება დროისა და სივრცის ლოგიკას. შედეგად, გრეგორის სხეული აღარ აღიქმება როგორც დისციპლინის ობიექტი, არამედ ხდება დისციპლინარული მექანიზმებიდან ამოვარდნილი, ანომალური ფორმა, სხეული, რომელიც აღარ ექვემდებარება ძალაუფლების ოპტიმალურ მართვას.

ფუკოს ძალაუფლებისა და დისკურსის თეორიის მიხედვით, გრეგორი დისკურსისგან გამონაკლისად ქცეული ფიგურაა. ერთდროულად შიგნითაცაა და გარეთაც. ჯერ კიდევ აღიქვამს სამყაროს, მაგრამ აღარ არის მისი თანამონაწილე. მისი ფუნქციური გამოუსადეგრობა იწვევს მის თანდათანობით სუბიექტიდან ობიექტად გადაქცევას. საბოლოოდ, ის ხდება არსება, რომელსაც არც პასუხისმგებლობა, არც ხმა და არც სტატუსი არ გააჩნია. ამ დინამიკას ტრაგიკულად ასახავს მამის ფიზიკური ძალადობის სცენა: „სწორედ ამ დროს გრეგორის თავთან რაღაც, სავარაუდოდ, შორიდან ნასროლი საგანი

დავარდა და გაგორდა. ეს ვაშლი იყო. მას მალევე მოჰყვა მეორეც. გრეგორი შიშისგან ადგილზე გაქვავდა. სირბილს აზრი აღარ ჰქონდა. მამას მისი დაბომბვა განეზრახა, ვაშლებს ერთი მეორეს მიყოლებით, გრეგორს უშენდა. ერთი, შედარებით სუსტად ნასროლი ვაშლი გრეგორს ზურგში მოხვდა, მაგრამ არაფერი ავნო. სამაგიეროდ, მომდევნო, უფრო ძლიერად ნასროლმა ზურგი მაგრად ჩაუჭეჭყა“ [კაფკა, 2025:17] აქ სხეული ხდება განდევნისა და ძალადობის ობიექტი.

ფუკოს ხედვით, ასეთი სხეულები სისტემის თვალში გაუმართავი რგოლებია - ისინი აღარ ემსახურებიან სოციალურ წესრიგს და ამიტომ უნდა მოხდეს მათი ნეიტრალიზება ან გამოთიშვა. ზამზას ფიზიკური მარცხი, ფუნქციური წარუმატებლობა, პირდაპირი საბაბია სოციალური მექანიზმების მიერ მისი მორალური და ემოციური უარყოფისთვის.

ჯემალ ქარჩხაძის „იგი“ წარმოადგენს ერთ მთლიან მეტაფორულ ნარატივს. ნაწარმოებში გამორჩეული მხატვრული ფორმებით ასახულია პირველყოფილი ადამიანის თვალით დანახული სამყარო. საინტერესოა ისიც, რომ ავტორი თხრობას დასასრულით იწყებს. თითქოს დასაწყისშივეა გამჟღავნებულია შედეგი, მაგრამ მიუხედავად ამ ნარატიული "გამჟღავნებისა"მთელი ნაწარმოების მანძილზე მკითხველის ინტერესი არ ქრება.

მოთხრობაში აღწერილია პრეისტორიული ხანა, პერიოდი, როდესაც ჯერ არაფერს და არავის არ ჰქონდა სახელი, არც ადამიანებს, არც განცდებსა და გრძნობებს, არც საგნებსა და მოვლენებს, სიკვდილსაც კი "დიდი დაძინება" ეწოდება.

პირველყოფილ საზოგადოებაში პიროვნული არ არსებობს, არის მხოლოდ „იგი“ და „სხვები“. ამ ერთგვაროვან, ჯოგურ სამყაროში ცხოვრობენ წელში მოხრილი ადამიანები, რომლებიც ხელებს მიწაზე მიათრევენ. მთას, ცას, მნათობებს საერთოდ ვერ ხედავენ, იმიტომ რომ არასოდეს იყურებიან ზემოთ, და შეიძლება ითქვას, მხოლოდ სიცოცხლისთვის ცოცხლობენ. ისინი ნადირობენ, ჭამენ, მრავლდებიან, ცხოვრობენ გამოქვაბულში, ბერდებიან, კვდებიან და როდესაც ძალა ეცლებათ დიდი დაძინების ქარაფიდან გაურკვევლობაში იკარგებიან. ჯოგში ერთ-ერთი რიგითი წევრია „იგი“, რომელიც ცხოვრობს იმავე წესით, როგორითაც მისი თანამოძმენი. მაგრამ ერთ დღეს ხდება ისეთი რამ, რაც ჯოგის ცხოვრებაში მანამდე არ მომხდარა. ნადირობიდან დაბრუნებული ჯოგის ბელადი და შვილი, ნანადირევს ვერ იყოფენ და შეერკინებიან ერთმანეთს. იმარჯვებს შვილი, ნანადირევს წაართმევს, ბელადის ტახტს დაიკავებს და პირველად დიდი დაძინების ქარაფს გაუყენებენ ბელადს ისე, რომ ჯერ მას მუხლებში ძალა არ გამოსცლია, ანუ ფაქტობრივად, ჯერ მისი სიკვდილის დრო არ დამდგარა. მოხდა რაღაც პირველად ამ ჯოგის ისტორიაში. ეს ფაქტი შეამჩნია და გაიკვირვა მხოლოდ ერთმა წევრმა იგიმ. სწორედ ეს მომენტი იქცევა გარდამტეხად იგის ცხოვრებაში. იგის ებადება ქვეცნობიერად პირველი კითხვა, იმატებს გაოცება რაც თანდათან გადადის ცოდნაში და იგი იწყებს სამყაროსა და თავის აღმოჩენას, სწორდება წელში, ხდება განსხვავებული, გამორჩეული, რაც იწვევს მის დაპირისპირებას ჯოგთან და განსაკუთრებით ახალ ბელადთან. იწყება როგორც შინაგანი, ასევე ფიზიკური ჭიდილი, რადგან იგი ბელადიც შეიძლება იყოს და ეს ჭიდილი სრულდება იგის ფიზიკური მარცხით და დიდი ბელადის შემდეგ იგი ადის დაძინების ქარაფზე დროზე ადრე. სიკვდილის იგის არ ეშინია და გრძნობს რომ ზურგს უკან ასევე გამართულ ზუს ტოვებს. იგი ეშვება დაძინების ქარაფიდან და ხვდება ყველაზე მთავარს „იგისაგან ის დარჩა რაც იგიში იგი იყო“ [ქარჩხაძე, 2017].

ადამიანის ფერიცვალებას, მეტამორფოზას, გარდასახვას ყოველთვის რაღაც აძლევს ბიძგს. საიდან დაიწყო იგის გარდასახვა? შვილის მიერ მამის დამხობით. პირველმა უკანონობამ, მორალური დილემის ქვეშ დააყენა იგი.

სტიუარტ ჰოლის იდენტობის თეორიის თანახმად, იდენტობა არ წარმოადგენს სტაბილურ და დასრულებულ მდგომარეობას. პირიქით, იგი განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ყალიბდება დროის განმავლობაში, სოციალური პრაქტიკების, დისკურსების და ისტორიული კონტექსტების მეშვეობით. „ვიდრე იდენტობაზე ვიფიქრებთ, როგორც უკვე დასრულებულ და დამკვიდრებულ ფაქტზე, რომელსაც შემდგომში კულტურული პრაქტიკები მხოლოდ წარმოაჩენს, უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ იდენტობაზე როგორც „წარმოქმნაზე“, რომელიც არასოდეს არის დასრულებული, ყოველთვის პროცესშია და ყოველთვის ფორმირდება წარმოდგენის (representation) შიგნით და არა მის გარეთ“ [Hall, 1996:222]. ჰოლი ხაზს უსვამს, რომ იდენტობა იბადება იმ ლიმინალურ სივრცეში, სადაც სუბიექტი არ იდენტიფიცირდება სრულად არც საკუთარ თავთან და არც სხვასთან, არამედ არსებობს ამ ორთა შორის მერყევ, გარდამავალ სივრცეში.

აღნიშნული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი შეიძლება ჩაითვალოს იდენტობის ფორმირების პირველყოფილ ალეგორიად. პრეისტორიულ გარემოში არსებული იგი ჯერ კიდევ არ ფლობს სახელს, განსხვავებულობას ან ფუნქციურ განსაზღვრას. ის წარმოდგენილია, როგორც არსება, რომელიც მკვეთრად არ არის გამიჯნული დანარჩენი ჯგუფისგან. თუმცა, ყველაფერი იცვლება იმ წამიდან, როცა ის სვამს პირველ კითხვას: „რატომ?“. სწორედ ეს რეფლექსიური ჟესტი ცვლის ცნობიერების რეჟიმს. პერსონაჟი იწყებს საკუთარ თავზე დაკვირვებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ერთდროულად ხდება დამკვირვებელიც და დაკვირვების ობიექტიც, ანუ იწყებს საკუთარი სუბიექტურობის აღქმას.

იგის ტრანსფორმაცია ჰოლის თეორიულ ჩარჩოში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც იმ ეტაპის დასაწყისი, როდესაც სუბიექტი იწყებს საკუთარი თავის „წარმოებას“ და არა უბრალოდ აღმოჩენას. ეს პროცესი არ არის ბუნებრივად წინასწარ განსაზღვრული. ის დისკურსულად, კულტურულად და ისტორიულად განპირობებული კონსტრუქციაა. პერსონაჟის შინაგანი ევოლუცია, უნარის განვითარება, იფიქროს საკუთარ არსებობაზე, ასახავს იმ ფუნდამენტურ მიდგომას, რომლის თანახმადაც იდენტობა ყალიბდება სხვასთან ურთიერთობაში, სხვაობის მუდმივი მოლაპარაკებისა და ახალი პოზიციონირების გზით.

მოთხრობაში პერსონაჟის ტრანსფორმაცია იწყება მაშინ, როცა ის პირველად აკვირდება და უფიქრდება კოლექტიური ქმედების რიტუალს - ბელადის გადაშვე-ბას „დიდი დაძინების“ ქარაფიდან. ეს ქმედება მას უჩვეულოდ მოეჩვენება, იმდენად, რამდენადაც ბელადი ჯერ კიდევ ცოცხალია. სწორედ ამ დაკვირვებიდან იწყება გარდაქმნა, არა მხოლოდ ქმედითი, არამედ ონტოლოგიური და კოგნიტური - „იგი გაოცდა“. ეს გაოცება ჰოლის თეორიით, წარმოადგენს იდენტობის გაყოფის მომენტს, როცა სუბიექტი იწყებს სხვაობის აღქმას საკუთარ თავსა და დანარჩენ სამყაროს შორის.

ჰოლი ხაზს უსვამს, რომ იდენტობა მუდამ კონსტრუირებულია კულტურული ჩარჩოებით და ეს ჩარჩოები ხშირად ბატონობს სუბიექტზე. სწორედ ამ ჩარჩოებიდან გამოსვლაა იგის მიზანი. მან უნდა გაარღვიოს „ჯოგური“ იდენტობის სტრუქტურა, რომელიც მას განსაზღვრავს არა როგორც ინდივიდს, არამედ როგორც კოლექტი-ური ბიოლოგიური მექანიზმის ნაწილს. იგი სწორდება, უყურებს ცას, და იწყებს გარემოს ახალი

ნიშნების წაკითხვას. იწყება პროცესი, რომელიც მას გარდაქმნის. იგი ხდება ერთდროულად სხვა, და ამავე დროს თავადვე, ანუ ქმნის საკუთარ იდენტობას სხვაობის მეშვეობით.

ჰოლი ხაზს უსვამს, რომ იდენტობა ჩამოყალიბებულია განსხვავების მეშვეო-ბით: „ჩვენ გვესმის ვინ ვართ მხოლოდ სხვების საპირისპიროდ - თუ რას არ წარმოვადგენთ." ეს დებულება სრულად ეხება იგის, რომელიც უარყოფს ბელადის ძალაუფლებრივ ლოგიკას და ამ გზით თვითონ ხდება განსხვავებული. მაგრამ ამ განსხვავებულობას კოლექტივი ვერ იღებს. ამიტომაც იგი განიკვეთება ჯგუფიდან და ხდება მსხვერპლი. თუმცა სიკვდილის მომენტშიც იგი არ კარგავს საკუთარ სხვაობას. ზურგს უკან ტოვებს „ზუს" - ახალ ინდივიდს, რომელიც გააგრძელებს ამ მეტამორფოზას, როგორც იდენტობის გენეალოგიას.

ამგვარად, იგის ტრანსფორმაცია უნდა განვიხილოთ არა როგორც ფიზიკური გარდატეხა, არამედ როგორც ონტოლოგიური მეტამორფოზა - პროცესის მეტაფორა, რომელიც ასახავს სუბიექტის დაბადებას მოქმედებაში, შეკითხვასა და წინააღმდეგობაში. პერსონაჟის გზას არ განასაზღვრავს მის წინაშე არსებული წესრიგის მიღება, არამედ მისი დარღვევა და შეცნობისაკენ სწრაფვა. სწორედ აქ იწყება იდენტობის ის პერფორმატიული წარმოქმნა, რომელიც ჰოლისა და ბატლე-რის თეორიებს თანხვედრაში მოჰყავს ქარჩხაძის ნარატიულ სტრუქტურასთან.

ჩვენ მიერ განხილული ტექსტები - კაფკას „მეტამორფოზა"და ქარჩხაძის „იგი" - ნათლად წარმოაჩენს მეტამორფოზას როგორც ლიტერატურულ ტროპს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ იდენტობის ტრანსფორმაციის, დაშლისა და რეკონფიგურაციის პროცესი განსხვავებულ ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტებში.

მეტამორფოზის ინდივიდუალური ფორმა კაფკასთან გამოხატავს ეგზისტენციურ დესტაბილიზაციას და სოციალურ გარიყვას. ქარჩხაძის გმირის ტრანსფორმაცია გვთავაზობს პიროვნების დაბადებას, ენობრივად ჩამოუყალიბებელ სივრცეში.

ამგვარად, ტრანსფორმაცია ორივე შემთხვევაში წარმოადგენს იდენტობის ფორმირებისა და რღვევის ერთდროულ პროცესს - მობილურ, კონფლიქტურ, ძალაუფლებისადმი მგრძნობიარე ფენომენს. მეტამორფოზის ტროპი ააშკარავებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ ან სახეობრივ ცვლილებებს, არამედ იმ სოციალურ მექანიზმებსაც, რომლებიც იდენტობის აღიარებას ან უარყოფას განაპირობებენ. ტრანსფორმაცია იქცევა ლიტერატურულ ინსტრუმენტად, რომელიც გვაჩვენებს, რომ სუბიექტი, როგორც სხეული, ენა და აზროვნება, ყოველთვის ჩართულია ცვლილების, გაუცხოების და წინააღმდეგობის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ინდივიდუალური მეტამორფოზა, ტრანსფორმაცია, ლიტერატურული ხერხი

ლიტერატურა:

1. ქარჩხაძე ჯემალ, იგი, ქარჩხაძის გამომცემლობა, 2017;
2. კაფკა ფრანც, მეტამორფოზა, გამომცემლობა პალიტრა L, 2025;
3. Aristotle, Metaphysics, Princeton University Press, Princeton, 1984;
4. Butler Judith, Bodies That Matter: On the Discursive Limits of "Sex", Routledge, New York, 1993;
5. Foucault Michel, Discipline and Punish: The Birth of the Prison, Pantheon Books, New York, 1977;

6. Hall Stuart, Introduction: Who Needs "Identity"?, In Hall S. & du Gay P. (eds), Questions of Cultural Identity, SAGE Publications, London, 1996, pp. 1–17;
7. Plato, Phaedrus, In Cooper J. M. (ed.), Plato: Complete Works, Hackett Publishing Company, Indianapolis, 1997, pp. 506–556.

Inga Shamilishvili, Nino Nakashidze
Batumi Shota Rustaveli State iniversity
Batumi, Georgia
e-mail: Inga_shamilishvili@bsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.48

Individual Metamorphosis as a Literary Device in Franz Kafka's „The Metamorphosis" and Jemal Karchkhadze's „Igi"

Abstract

Metamorphosis, as a Universal Form of Transformation**,** constitutes a fundamental change in form, condition, or mode of existence. As a literary phenomenon, metamorphosis provides a unique means of exploring psychological states that often remain unnoticed. In literature, the trope of metamorphosis manifests as both individual and collective transformation.

The focus of our inquiry is individual metamorphosis, which is frequently associated with existential, ethical, or psychological crises that disrupt the stability of a character's identity. In this regard, Franz Kafka's Gregor Samsa represents a classical example. His transformation into an insect is not merely a physical deformation; rather, it signifies the performative collapse of his social roles - as son, worker, and citizen.

On an entirely different plane, metamorphosis unfolds in Jemal Karchkhadze's short story *"Igi."* Here, transformation is not physical but occurs within the realm of mind and consciousness, often initiated by the disintegration of moral, ethical, or social order.

Drawing on the theoretical frameworks of Michel Foucault and Stuart Hall, this paper examines metamorphosis as a literary trope that enables us to perceive the processes of identity transformation, fragmentation, and reconfiguration across diverse historical, political, and cultural contexts.

Keywords: Metamorphosis, Identity, Transformation, Literary Trope.